1-2

პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

სსრ მ. ა. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის, თბილისის კომიტეტისა და საქართველოს სსრ მშრომელთა დეპუტატების საბჭოების ორგანო

'კომუნისტი' ორგან центрального и тбилисского комитетов кп (б) грузии и советов депутатов трудящихся грузинской ССР

პარასკევი
9 თებერვალი
1940 წ.
№ 32 (5733)
ფასი 10 კაპ

სახელოვანი იუბილეს წინ

ახლოვდება საყოველთაო-სახალხო დღესასწაული — წითელი არმიისა და სამხედრო-საზღვაო ფლოტის XXII წლისთავი. სახეშია ხალხი სიამაყითა და ძლიერების შეგნებით შეჰყურებს მძლავრ რაზმებს თავისი მამაცი მეომრებისას, რომლებსაც შესწევთ უნარი დაამარცხონ ყოველი მტერი ხმელეთზე, ჰაერში, წყალზე და წყალქვეშ.

თავისი არსებობის 22 წლის განმავლობაში წითელმა არმიამ და სამხედრო-საზღვაო ფლოტმა გმირული გზა განვლეს. ისინი იზრდებოდნენ და მტკიცდებოდნენ სამოქალაქო ომის ცეცხლსა და ქარიშხალში. სოციალისტური ინდუსტრიალიზაციის გამარჯვებებმა შესაძლებლობა მოგვცეს უხვად აღგვეჭურვა ჩვენი შეიარაღებული ძალები თანამედროვე სამხედრო ტექნიკით.

„წითელი არმია გიგანტურ ძალას წარმოადგენს. ჩვენს არმიაში წითელარმიელები, მეთაურები და პოლიტმუშაკები — ეს მოხოლითური, მარქსისტულ-ლენინური იდეოლოგიით შეიარაღებული კოლექტივია. წითელი არმია, როგორც ერთი კაცი, ყოველ წამს მზად არის შეასრულოს თავისი წმინდა მოვალეობა გამარჯვებული შრომის სახელმწიფოს დამცველისა, როგორც ერთი კაცი, მზად არის სიხარულით მეწიროს სიცოცხლე ლენინ-სტალინის დიად საქმეს“ (ვოროშილოვი).

ჩვენი შეიარაღებული ძალების არსებობის ოცდამეორე წელი იყო საბჭოთა ფიცის წმინდა სიტყვების ხორცშესხმის წელი. ეს იყო სოციალისტური სახელმწიფოს სამხედრო ძლიერების შემდგომი განმტკიცების წელი. ხალხინ-გოლთან მომხდარ გაფთრებულ შეტაკებებში, დასავლეთ უკრაინისა და დასავლეთ ბელორუსიის განთავისუფლებისათვის ბრძოლებში, ფინეთ თეთრგვარდიელობასთან ბრძოლებში წითელმა არმიამ ასახელა საბჭოთა იარაღის ძალა.

ჩვენი ხალხი არაფერს არ იშურებს თავისი არმიის, თავისი სამხედრო ფლოტის ძლიერების განსამტკიცებლად. საბჭოთა ხალხი და წითელი არმია ერთ მთელად არიან შედღუებულნი. ბოლშევიკების პარტია, საბჭოთა მთავრობა, ჩვენი ქვეყნის ყველა მოქალაქე აღსავსენი არიან გმირი წითელი არმიისათვის სიამაყის გრძნობით.

ევროპისა და აზიის უდიდესი ქვეყნები გახვეულნი არიან მეორე იმპერიალისტური ომის ცეცხლში. სულ უფრო და უფრო ხასიათს იღებს მტაცებლური ხოცვა-ჟლეტა. ინგლისისა და საფრანგეთის იმპერიალიზმის მესვეურნი ცდილობენ სსრ კავშირის წინააღმდეგ წარმართონ ომის მახვილი. მათ ჩვენი სამშობლოს წინააღმდეგ სამხედრო ავანტიურაში ჩაითრიეს მანერჰაიმტანერების თეთრგვარდიული ხროვა. მაგრამ რაც უნდა ეცადონ ინგლისისა და საფრანგეთის იმპერიალისტები და მათი დამჭაშები, მათს გეგმებს განხორციელება არ უწერია. სსრ კავშირის წინააღმდეგ სამხედრო ინტერვენციის პლაცდარმად ფინეთის გამოყენების გეგმა გაცამტვერებულ იქნება წითელი არმიის მიერ გამანადგურებელი დარტყმით.

ფინელ თეთრგვარდიელობასთან წარმოებულ პირველსავე ბრძოლებში წითელმა არმიამ, სამოქალაქო ომის სახელოვანი ტრადიციების ერთგულმა, მამაცობისა და მასობრივი გმირობის სასწაულები გვიჩვენა. გაჩნდა წითელი არმიის დევგმირთა ახალი პლეადა, აელვარდა ახალი სახელები საბჭოთა კავშირის გმირებისა, რომლებმაც უჭკნობი დიდება შეიმოსეს თავი.

ამ უკანასკნელ დღეებში გაზეთებში გამოქვეყნდა სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის რამდენიმე ბრძანებულება ფინელ თეთრგვარდიელობასთან ბრძოლის ფრონტზე ჩადენილი საგმირო საქმეებისათვის წითელი არმიის მებრძოლების, მეთაურების, პოლიტმუშაკებისა და უფროსთა შემადგენლობის დაჯილდოების შესახებ.

დღეს ჩვენ ვაქვეყნებთ სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულებებს საბჭოთა კავშირის გმირის სახელწოდების მინიჭების შესახებ, სოციალიზმის ქვეყნის მამაც მეომართა ახალი დიდი ჯგუფის სსრ კავშირის ორდენებითა და მედლებით დაჯილდოების შესახებ. დაჯილდოებულთა სპატიო სიაში ამჯერად ჩვენ ვხედავთ უშიშარ სამხედრო მეზღვაურთა და საზღვაო მფრინავთა სახელებს. დაჯილდოებული არიან მთელი წყალქვეშა ნაოსნები და მათი მამაცი ეკიპაჟები. სიხარულისა და სიამაყის გრძნობით ივსება საბჭოთა პატრიოტების გული ამ ბრძანებულებათა წაკითხვისას, რადგან ისინი მოწმობენ ჩვენი მშობლიური სამხედრო-საზღვაო ფლოტის ძალასა და ძლიერებას, იმ ფლოტისა, რომელიც უკანასკნელ წლებში გამოწრთობილ იქნა ბოლშევიკების პარტიის ნებასურვილით, დიდი სტალინის ინიციატივით.

ჩვენი მეზღვაურებისა და მფრინავების სახმრო ომში ჰეშმარიტად ღირსია აღტაცებისა. „ს-1“ და „შჩ-311“ წყალქვეშა ნავების ეკიპაჟებმა, რომელნიც სარდლობის საბრძოლო დავალებებს ასრულებდნენ ზამთრის ქარიშხლის არაჩვეულებრივად მძიმე პირობებში, მტრის არაერთი ტრანსპორტი ჩაასმინეს. საბჭოთა საზღვაო მფრინავების სწრაფი და ზუსტი მუშაობა ძვირად დაუჯდა მტერს!

სსრ კავშირის ხალხები ერთი წუთითაც არ ივიწყებენ, რომ ჩვენი ქვეყანა კაპიტალისტურ გარემოცვაში იმყოფება. მილიონობით საბჭოთა პატრიოტები მუშაობისაგან თავისუფალ დროს აღფრთოვანებით სწავლობენ სამხედრო საქმეს, მეცადინეობენ თავდაცვა-ავიაქიმის წრეებში, ცდილობენ ჩინებული მსროლელნი, მეტყვიამფრქვევენი, ჯუმბარმტყორცნელები, ტანკისტები, მფრინავები გახდნენ.

ამჟამად ქალაქებსა და სოფლებში ფართოდ გაჩაღდა წითელი არმიის XXII წლისთავის დღესასწაულისათვის მოსამზადებელი მუშაობა. ამ დღეებში განსაკუთრებით ფართო მასშტაბით იშლება სამხედრო ცოდნის პროპაგანდა მოსახლეობაში. ჰარტიულმა ორგანიზაციებმა უნდა დააკმაყოფილონ ხალხის გაზრდილი ინტერესი თავდაცვის საკითხებისადმი. საჭიროა მოვაწყოთ მუშათა, კოლმეურნეთა, ინტელიგენციის კრებები, ვუამბოთ ამ კრებებზე წითელი არმიისა და სამხედრო-საზღვაო ფლოტის ცხოვრებისა და გმირული საქმიანობის შესახებ. საჭიროა მოვაწყოთ საუბრები, მოსახლეობის შეხვედრა სამოქალაქო ომის, ხასანის ტბასთან და ხალხინ-გოლთან, დასავლეთ ბელორუსიაში და დასავლეთ უკრაინაში მომხდარი ბრძოლების მონაწილეებთან. საჭიროა გასაგებად ვუამბოთ ფართო მასებს ბოლშევიკური პარტიის სამხედრო მუშაობის შესახებ, ლენინისა და სტალინის უდიდესი როლის შესახებ წითელი არმიისა და მის გაძარჯვებათა ორგანიზაციის საქმეში, ვუამბოთ სამოქალაქო ომის გმირებსა და საბჭოთა კავშირის გმირებზე, უშიშარ კომისრებზე, რომელნიც მუდამ აკავშირებენ წითელი არმიის მეომართა რიგებს. საჭიროა ვუამბოთ ბოლშევიკ კომისრებზე სერგეი მირონის-ძე კიროვზე, სერგო ორჯონიკიძეზე, ვალერიან კუიბიშევზე, პროლეტარული სარდლებისა და მეთაურების ფრუნზეზე, ვოროშილოვის, ბუდიონის, კოტოვსკის, პარხომენკოს, შჩორსის შესახებ, რომელთა მაგალითები მუდამ უნდა აფრთოვანებდეს საბჭოთა ხალხს საგმირო საქმეების მოსახდენად სამშობლოსათვის ბრძოლაში.

მგზნებარე პატრიოტიზმის ბეჭედი ახის მოჭედილი წითელი არმიის მეომართა მიმოწერას თავისიანებთან და ნაცნობებთან. აი რასა სწერს დედ-მამა წითელარმიელ კაგანოვს:

„შვილო შენი წერილები. შენ სწორად მოიქეცი, რომ მოხალისედ შეხველ წითელ არმიაში. როგორც კომკავშირელი, შენ არც შეიძლებოდა სხვანაირად მოქცეულიყავი. როცა ჩვენს სამშობლოს მტრებისაგან საფრთხე მოელის, შენი ადგილი უნდა იყოს სამშობლოსათვის მებრძოლთა რიგებში. ჩვენთვის ნუ სწუხარ. ჩვენ გვამხნევებს იმის შეგნება, რომ ჩვენი ერთადერთი შვილი ღირსეული კომკავშირელი აღმოჩნდა. ჩვენ ვამაყობთ შენით. გისურვებთ შენ და შენს ამხანაგებს სახელმოხვეჭილი დაბრუნდეთ შინ“.

ასეთი წერილი მრავალია. ისინი მოწმობენ წითელი არმიისა და ხალხის მჭიდრო მეგობრობას.

სსრ კავშირის წითელი არმიისა და სამხედრო-საზღვაო ფლოტს XXII წლისთავი იქნება ახალი დემონსტრაცია საბჭოთა ხალხის — გმირთა ხალხის, გამარჯვებულთა ხალხის მობილიზაციური მზადყოფნისა! სამართლიანად ამაყობენ რა თავიანთი სახელოვანი მეომრებით, რომელნიც ფხიზლად დგანან ვახუშზე ჩვენი ქვეყნის ყოველ მოკვნაზე, საბჭოთა ადამიანები ახალი სტახანოვური რეკორდებით, გეგმის გადაჭრებით ამოღებული ქვანახშირისა და გამოდნობილი ლითონის ახალი ტონებით, ახალი მანქანებითა და დაზგებით, სოციალისტური შეჯიბრების ახალი აღმავლობით შეხვდებიან ამ დღეს.

„პრავდის“ მოწინავე, 8/II.

ამხანაგ სვაჯინის აღრინდელი შრომების გამოცემა

საკ. კ. პ. (ბ) ცენტრალურ კომიტეტთან არსებულმა მარქს-ენგელს-ლენინის ინსტიტუტმა ამხანაგ სტალინის დაბადების სამოცი წლისთავისათვის პირველად გამოაქვეყნა რუსულ ენაზე ჟურნალ „ბოლშევიკში“ და „პარტიინოე სტროიტელსტვოში“ (№№ 23-24, 1939 წ.) ი. ბ. სტალინის ორი სტატია: „როგორ ესმის სოციალდემოკრატიას ნაციონალური კითხვა? და „პროლეტართა კლასი და პროლეტართა პარტია (პარტიის წესდების პირველი მუხლის გამო)“. ეს შრომები ამხანაგ სტალინის მიერ დაწერილია ქართულ ენაზე და გამოქვეყნებულია რსდმპ კავკასიის კავშირის საბრძოლო ორგანოში—გაზეთ „პროლეტარიატის ბრძოლაში“ (№ 7 და 8, 1904 წლის 1 (14) სექტემბრისა და 1905 წლის 1 (14) იანვრისა).

ეს შრომები ახლა ცალკე ბროშურებად გამოსცა პოლიტიკური ლიტერატურის სახელმწიფო გამომცემლობამ. თვითეული მათგანის ტირაჟია 1 მილიონი ცალი. ბროშურები უახლოეს დროში გამოვა გასაყიდად. (საკდესი).

პოლინა ოსიპენკოს ძეგლი

კიევი, 6 თებერვალი (საკდესი). ზაპოროჟიეს ოლქის სოფელ ოსიპენკოში ძეგლი უნდა აუგონ საბჭოთა კავშირის გმირს პოლინა ოსიპენკოს. ხარკოველმა მოქანდაკეებმა ამხ. მურავინმა და ლისენკომ დაამზადეს ძეგლის პროექტი, რომელსაც ქარგი შეფასება მისცა უკრაინის სსრ რესპუბლიკის სახკომსაბჭოსთან არსებულმა ხელოვნების საქმეთა სამმართველოს სამხატვრო კომისიამ.

ძეგლი იქნება მონუმენტალური ნაგებობა — ბრინჯაოს ორმეტრიანი ბიუსტი, წითელი თლილი გრანიტის კვარცხლბეკზე, რომელსაც ხუთი მეტრი სიმაღლე ექნება.

კოლმეურნეები ვადამდე ანაღდებენ სესხზე ხელმოწერას

კოლმეურნეები ვადამდე ანაღდებენ მესამე ხუთწლედის სესხზე (მეორე წლის გამოშვება) ხელმოწერას. სომხეთის სს რესპუბლიკაში კოლმეურნეებმა უკვე შეიტანეს მათი ხელმოწერის თანხის 90,4 პროცენტი, თურქმენეთის სს რესპუბლიკაში — 89,3, უზბეკეთის სს რესპუბლიკაში — 86,4, ყირგიზეთის— 86,6. სესხზე ხელმოწერის თანხები ვადამდე შემოდის აგრეთვე ყარაკალფაქეთისა და ყირიმის ასს რესპუბლიკებში, ბუხარის, ტაშკენტის, სამარყანდის, კურსკის, ფერგანისა და სხვა ოლქებში. (საკდესი).

ამხ. დ. კონცედალოვის ახალი რეკორდი

სერგო (ვოროშილოვგრადის ოლქი), 5 თებერვალი (საკდესი). დღეს ჩვენი ქვეყნის წარჩინებულმა ქვანახშირის მნგრეველმა, ამჟამად სტალინის სახელობის სარეწველო აკადემიის სტუდენტმა ამხ. დ. კონცედალოვმა გადააჭარბა შრომის ნაყოფიერების იმ რეკორდს, რომელიც მან ორი დღის წინათ დაამყარა. 3 თებერვალს ამხ. კონცედალოვმა „კრივოროჟიეს“ № 1-ბის შახტის № 21 უბანზე ერთ ცვლაში 105 ტონა ქვანახშირი მოგვცა. დღეს ამავე უბანზე ცვლის განმავლობაში მან მოანგრია 126 კვადრატული მეტრი ფართობი და 151 ტონა ქვანახშირი მოგვცა. დავალება 1326 პროცენტით შეასრულა.

ამხ. კონცედალოვმა მთელი უბნის სადღეღამისო დავალებას 21 ტონით გადააჭარბა. მებიგეებად ჰყავდა თავისი ძმა გ. კონცედალოვი, ორდენოსანი ამხ. ბორისენკო, ამხ. დემიტროვი და კომაროვი.

ბრძანებულება

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

უმცროს მეთაურ ა. ი. ველოგუროვისა, ლეიტენანტ ბ. ს. პინჩუკისა და უფროს ლეიტენანტ ვ. მ. ბარლამოვისათვის საბჭოთა კავშირის გმირის სახელწოდების მინიჭების შესახებ

ფინელ თეთრგვარდიელობასთან ბრძოლის ფრონტზე სარდლობის საბრძოლო დავალებათა სანიმუშოდ შესრულებისა და მამაცობის გამოჩენისათვის მიენიჭოთ **საბჭოთა კავშირის გმირის** სახელწოდება და გადაეცეთ **ლენინის** ორდენი და **„ოქროს ვარსკვლავის“** მედალი:

1. უმცროს მეთაურს, ალექსანდრე ივანეს-ძე **ველოგუროვს.**
2. ლეიტენანტს გრიგოლ სერგის-ძე **პინჩუკს.**
3. უფროს ლეიტენანტს, ვასილ მაქსიმეს-ძე **ბარლამოვს.**

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე
მ. კალინინი

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი
ა. გორკინი

მოსკოვი, კრემლი.
1940 წ. 7 თებერვალი.

ბრძანებულება

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

კაპიტან - ლეიტენანტ ა. ვ. ტრიპოლსკისათვის საბჭოთა კავშირის გმირის სახელწოდების მინიჭების შესახებ

ფინეთის თეთრგვარდიელობასთან ბრძოლის ფრონტზე სარდლობის საბრძოლო დავალებათა სანიმუშოდ შესრულებისათვის და ამასთანავე მამაცობისა და გმირობის გამოჩენისათვის მიენიჭოს **საბჭოთა კავშირის გმირის** სახელწოდება და გადაეცეს **ლენინის** ორდენი და **„ოქროს ვარსკვლავის“** მედალი კაპიტან-ლეიტენანტს, ალექსანდრე ვლადიმერის-ძე **ტრიპოლსკის.**

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე
მ. კალინინი

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი
ა. გორკინი

მოსკოვი, კრემლი.
1940 წ. 7 თებერვალი.

ბრძანებულება

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

ბალტიის წითელდროშოვანი ფლოტის წყალქვეშა ნავის „ს-1“ „წითელი დროშის“ ორდენით დაჯილდოების შესახებ

სარდლობის საბრძოლო დავალებათა შესრულებისას პირადი შემადგენლობის მიერ გულადობისა და მამაცობის გამოჩენისათვის **დაჯილდებულ** იქნას **„წითელი დროშის“** ორდენით ბალტიის წითელდროშოვანი ფლოტის წყალქვეშა ნავი „ს-1“.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე
მ. კალინინი

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი
ა. გორკინი

მოსკოვი, კრემლი.
1940 წ. 7 თებერვალი.

ბრძანებულება

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

კაპიტან - ლეიტენანტ თ. გ. ვერშინინისათვის საბჭოთა კავშირის გმირის სახელწოდების მინიჭების შესახებ

ფინეთის თეთრგვარდიელობასთან ბრძოლის ფრონტზე სარდლობის საბრძოლო დავალებათა სანიმუშოდ შესრულებისა და ამასთანავე ვაჟკაცობისა და გმირობის გამოჩენისათვის მიენიჭოს **საბჭოთა კავშირის გმირის** სახელწოდება და გადაეცეს **ლენინის** ორდენი და **„ოქროს ვარსკვლავის“** მედალი კაპიტან-ლეიტენანტს, თევდორე გრიგოლის-ძე **ვერშინინს.**

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე
მ. კალინინი

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი
ა. გორკინი

მოსკოვი, კრემლი.
1940 წ. 7 თებერვალი.

ბრძანებულება

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

უფროს ლეიტენანტ ი. დ. გორისკოვისათვის, კაპიტან ა. ი. კროხალევისა და კაპიტან ვ. ი. რაკოვისათვის საბჭოთა კავშირის გმირის სახელწოდების მინიჭების შესახებ

ფინეთის თეთრგვარდიელობასთან ბრძოლის ფრონტზე სარდლობის საბრძოლო დავალებათა სანიმუშოდ შესრულებისათვის და ამასთანავე ვაჟკაცობისა და გმირობის გამოჩენისათვის მიენიჭოს **საბჭოთა კავშირის გმირის** სახელწოდება და გადაეცეს **ლენინის** ორდენი და **„ოქროს ვარსკვლავის“ მედალი:**

1. უფროს ლეიტენანტს, ივანე დიმიტრის-ძე **გორისკოვს**
2. კაპიტან ანატოლი ილიას-ძე **კროხალევს**
3. კაპიტან ვასილ ივანეს-ძე **რაკოვს.**

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე
მ. კალინინი

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი
ა. გორკინი

მოსკოვი, კრემლი.
1940 წ. 7 თებერვალი.

ბრძანებულება

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

ბალტიის წითელდროშოვანი ფლოტის წყალქვეშა ნავის „შჩ-311“ „წითელი დროშის“ ორდენით დაჯილდოების შესახებ

სარდლობის საბრძოლო დავალებათა შესრულებისას პირადი შემადგენლობის მიერ გულადობისა და მამაცობის გამოჩენისათვის **დაჯილდებულ** იქნას **„წითელი დროშის“** ორდენით ბალტიის წითელდროშოვანი ფლოტის წყალქვეშა ნავი „შჩ-311“.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე
მ. კალინინი

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი
ა. გორკინი

მოსკოვი, კრემლი.
1940 წ. 7 თებერვალი.

ბალტიის წითელდროშოვანი ფლოტის უფროსთა შემადგენლობისა და წითელფლოტელების დაჯილდოება

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულებით, ფინეთის თეთრგვარდიელობასთან ბრძოლის ფრონტზე სარდლობის საბრძოლო დავალებათა სანიმუშოდ შესრულებისათვის და მამაცობის გამოჩენისათვის მიენიჭოს **საბჭოთა კავშირის გმირის** სახელწოდება და გადაეცეს **ლენინის** ორდენი და **„ოქროს ვარსკვლავის“** მედალი კაპიტან-ლეიტენანტს, ალექსანდრე ვლადიმერის-ძე **ტრიპოლსკის.**

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე
მ. კალინინი

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი
ა. გორკინი

მოსკოვი, კრემლი.
1940 წ. 7 თებერვალი.

ბალტიის წითელდროშოვანი ფლოტის უფროსთა შემადგენლობისა და წითელფლოტელების დაჯილდოება სსრ კავშირის ორდენებითა და მედლებით

ფინელ თეთრგვარდიელობასთან ბრძოლის ფრონტზე სარდლობის საბრძოლო დავალებათა სანიმუშოდ შესრულებისათვის და ამასთან გულადობისა და მამაცობის გამოჩენისათვის, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულებით 138 კაცი—ბალტიის წითელდროშოვანი ფლოტის უფროსთა შემადგენლობა და წითელფლოტელები—დაჯილდოებულია სსრ კავშირის ორდენებითა და მედლებით.

ლენინის ორდენით დაჯილდოებული არიან: კაპიტანი ი. რ. ნოვიკოვი, მაიორი ე. ნ. პრეობრაჟენსკი, მაიორი ი. გ. რომანენკო, კაპიტანი ნ. ა. ტოკარევი.

„წითელი დროშის“ ორდენით დაჯილდოებულია 73 კაცი, „წითელი ვარსკვლავის“ ორდენით—22 კაცი, „სპატიო ნიშნის“ ორდენით — 2 კაცი, მედლით „მამაცობისათვის“—4 კაცი, მედლით „საბრძოლო დამსახურებისათვის“ — 29 კაცი, მედლით „შრომითი წარჩინებისათვის“ —4 კაცი.

ფინელ თეთრგვარდიელობასთან ბრძოლის ფრონტზე სარდლობის საბრძოლო დავალებათა სანიმუშოდ შესრულებისათვის და ამასთან გულადობისა და მამაცობის გამოჩენისათვის სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულებით 138 კაცი—ბალტიის წითელდროშოვანი ფლოტის უფროსთა შემადგენლობა და წითელფლოტელები—დაჯილდოებულია სსრ კავშირის ორდენებითა და მედლებით.

ლენინის ორდენით დაჯილდოებული არიან: უმცროსი მეთაური ს. ა. ალექსამინი, მე-3 რანგის სამხედრო ინჟინერი ა. ა. სვიტინი, ლეიტენანტი ვ. ა. სილინი, უფროსი პოლიტხელი ნ. კ. ტემნოვი, უმცროსი მეთაური ი. ა. მიშჩენკო.

„წითელი დროშის“ ორდენით დაჯილდოებულია 25 კაცი, „წითელი ვარსკვლავის“ ორდენით—52 კაცი, მედლით „საბრძოლო დამსახურებისათვის“ 7 კაცი. (საკდესი).

საბჭოთა კავშირის გმირის კ. ს. ბაღიგინის მისალმება თანამემამულეებისადმი

ჯენზა, 5 თებერვალი (საკდესი). გუშინ ჯენზის ოლქის მშრომელებმა აღნიშნეს ოლქის შექმნის პირველი წლისთავი.

ლეგენდარულ ყინულმჭრელ „გ. სედოვის“ კაპიტანმა, საბჭოთა კავშირის გმირმა კ. ს. ბადიგინმა თავის თანამემამულეებს შემდეგი მისასალმებელი დეპეშა გამოუგზავნა:

„ჯენზის ოლქის შექმნის წლისთავზე ყოველივე კარგს ვუსურვებ, გულმხურვალე ბოლშევიკურ სალამს ვუძღვნი ჩემს თანამემამულეებს. გისურვებთ, ძვირფასო ამხანაგებო, კიდევ უფრო მეტ წარმატებებს ჩვენს საუცხოო ქვეყანაში კომუნიზმის აშენების საქმეში“.

მისალმებანი გამოგზავნეს აგრეთვე საბჭოთა კავშირის გმირმა ვ. გრიზოდუბოვამ, ორდენოსანმა მწერალმა ვ. სტავსკიმ, აკადემიკოსმა ნ. ნ. ბურდენკომ და სხვებმა.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულება

უმცროს მეთაურ ა. ი. ველოგუროვისა, ლეიტენანტ ბ. ს. პინჩუკისა და უფროს ლეიტენანტ ვ. მ. ბარლამოვისათვის საბჭოთა კავშირის გმირის სახელწოდების მინიჭების შესახებ

ფინელ თეთრგვარდიელობასთან ბრძოლის ფრონტზე სარდლობის საბრძოლო დავალებათა სანიმუშოდ შესრულებისა და მამაცობის გამოჩენისათვის მიენიჭოთ **საბჭოთა კავშირის გმირის** სახელწოდება და გადაეცეთ **ლენინის** ორდენი და **„ოქროს ვარსკვლავის“** მედალი:

1. უმცროს მეთაურს, ალექსანდრე ივანეს-ძე **ველოგუროვს.**
2. ლეიტენანტს გრიგოლ სერგის-ძე **პინჩუკს.**
3. უფროს ლეიტენანტს, ვასილ მაქსიმეს-ძე **ბარლამოვს.**

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე
მ. კალინინი

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი
ა. გორკინი

მოსკოვი, კრემლი.
1940 წ. 7 თებერვალი.

საქ. კ. პ. (ბ) აჭარის საოლქო კომიტეტის პლენუმი

(ბათუმი, „კომუნისტის“ კორესპონდენტისაგან)

4-5 თებერვალს მიმდინარეობდა საქ. კ. პ. (ბ) აჭარის საოლქო კომიტეტის VI პლენუმი. პლენუმმა განიხილა ორი საკითხი: აჭარის პარტორგანიზაციებში 1939 წლის აპრილიდან 1940 წლის თებერვლამდე პარტიაში ახალ წევრთა მიღების შედეგები და საგაზაფხულო სასოფლო-სამეურნეო კამპანიისათვის მზადების მიმდინარეობა. პირველ საკითხზე მოხსენებით გამოვიდა საქ. კ. პ. (ბ) აჭარის საოლქო კომიტეტის მდივანი ამხ. მ. ბარამია.

ამხ. ბარამიას მოხსენების გარშემო კამათში მონაწილეობა მიიღეს ხელაძემ, ე. რისკოვამ, ს. ჯიჯიეშვილმა, ნ. ბალანკოვამ, ო. ჯიბლაძემ, ვ. გოგავამ, ალ. მელაძემ, ვ. ახალაძემ, ზ. ფირიაშვილმა და კ. ლომაძემ.

მე-18 პარტყრილობის შემდეგ აჭარის პარტორგანიზაცია მნიშვნელოვნად გაიზარდა. პარტიის წევრებად გადარიცხულია 865 ამხანაგი, ხოლო წევრობის კანდიდატებად მიღებულია 1340 ამხანაგი. ოლქში ჩამოყალიბდა 44 ახალი პარტორგანიზაცია, მათ რიცხვში 14 საკოლმეურნეო ორგანიზაცია.

მომხსენებელმა და მოკამათეებმა აღნიშნეს, რომ ზოგიერთი პირველადი პარტიული ორგანიზაცია სუსტად მუშაობს პარტიაში ახალ წევრთა მიღებისათვის.

ბათუმის ს. ორჯონიკიძის სახელობის სამკერვალო ფაბრიკის პარტორგანიზაციამ 10 თვის განმავლობაში პარტიაში მხოლოდ 18 ქალი მიიღო, მაშინ როდესაც ფაბრიკაში 789 ქალი მუშაობს, რომელთაგან 438 სტახანოველია.

საგაზაფხულო თესვისათვის მზადების შესახებ პლენუმმა მოისმინა აჭარის ასსრ საბჭომსაბჭოს თავმჯდომარის ამხ. ი. ფუტკარაძის მოხსენება.

ამხ. ფუტკარაძის მოხსენების გარშემო კამათში გამოვიდნენ ვ. ჯიმშელეიშვილი, ს. ჩიხლაძე, ჭ. მეგრელიძე, შ. ჭანტურიძე, უ. ბეჟანიძე, მ. ყურთუბაძე, მ. გოგოლიშვილი და ი. თოხაძე.

მოსმენილ მოხსენებათა გამო პლენუმმა მიიღო სათანადო დონისძიებანი. **კ. დოგოლაძე**

საქ. კ. პ. (ბ) ახალქალაქის რაიკომის პლენუმი

(„კომუნისტის“ კორესპონდენტისაგან)

ამ დღეებში ჩატარდა საქ. კ. პ. (ბ) ახალქალაქის რაიკომის პლენუმი. პლენუმმა განიხილა რაიკომის მდივნის ამხ. **ნ. სარჭისოვის** საანგარიშო მოხსენება და საორგანიზაციო საკითხები.

პლენუმმა საქ. კ. პ. (ბ) ახალქალაქის რაიკომის მდივნის მოვალეობისაგან გაანთავისუფლა ამხ. **სარჭისოვი,** მისი საქ. კ. პ. (ბ) ც. კ-ში გადაყვანის გამო. რაიკომის მდივნად ერთხმად არჩეულ იქნა ამხ. **ჰაიკ დანელიანი.**

პლენუმის მუშაობაში მონაწილეობას იღებდა საქ. კ. პ. (ბ) ც. კ-ის მდივანი ამხ. **შ. გაში.**

ოპერაციული ცნობა

ლენინგრადის სამხედრო ოლქის შტაბისა

8 თებერვლის განმავლობაში საბრძოლო მოქმედებანი ფრონტზე უმრავლეს შემთხვევებში განისაზღვრებოდა მზვერავთა საძიებო მოქმედებით. მეწინავე ქვეითი ნაწილების შეტაკებათა შედეგად, რომლებიც უკანასკნელ დღეებში გრძელდებოდა კარელიის ყელზე, ჩვენი ნაწილების მიერ დაკავებული იქნა გამაგრებული რაიონი ხოტინენი (სუომას რაიონი), რომელსაც რვა ბეტონირებული საარტილერიო ნაგებობა აქვს. რაიონში ლადოგის ტბისა და სუვანტოიარვის შუა ჩვენმა ნაწილებმა დაიკავეს ხუთი თავდაცვითი საარტილერიო ბეტონირებული ნაგებობა. მტერმა ორივე შემთხვევაში დიდი ზარალი ნახა.

ჩვენი ავიაცია წარმატებით აწარმოებდა საბრძოლო ფრენას სახელმწიფო ობიექტებზე.



მხატვარ ვ. კორეცკის მიერ შესრულებული პლაკატი, მიძღვნილი წითელი არმიის 22 წლისთავისადმი.
რეპროდუქცია გ. შიროკოვისა (საკდესის ფოტოკლიშე)

ჩაის ვიტამინიზაცია

ამჟამად უკვე კარგად ცნობილია, რომ ადამიანის საკვებში ვიტამინ C-ს ნაკლებობა იწვევს არა მარტო აშკარად გამოხატულ ავიტამინოზს (სურავანდს), არამედ, რაც უფრო მთავარია და შედარებით ხშირი, იგი მიზეზია ჰიპოვიტამინოზურ მდგომარეობისა, ე. ი. ვიტამინ C-ს არასაკმარისობისა ადამიანის ორგანიზმში. გარდა იმისა, რომ ვიტამინ C-ს განსაზღვრული რაოდენობა აუცილებელია ფიზიოლოგიური პროცესებისათვის, იგი ავრეთვე თამაშობს გარკვეულ როლს ადამიანის ჯანმრთელობის დაცვის საქმეში სხვადასხვა ინფექციურ დაავადებათაგან.

ამიტომ არის, რომ ამჟამად დიდი ყურადღება ექცევა ვიტამინებს საზოგადოებრივი კვების საკითხთან დაკავშირებით და სათანადო სამეცნიერო კვლევა-ძიებითი მუშაობის ფართოდ გაშლას საბჭოთა კავშირში.

უკვე პრაქტიკულად და მზარდი ტემპებით ხორციელდება ჩვენს კვების მრეწველობაში ვიტამინების დანერგვა და მოსახლეობის მომარაგება ვიტამინიზებული პროდუქტებით და მათი პრეპარატებით.

ამ მხრივ მნიშვნელოვანი პრაქტიკული ნაბიჯი გადადგა სსრ-კავშირის და საქართველოს სსრ კვების მრეწველობის კომისარიატმა და მთავარმა სახსანინსპექციამ, რომელთა დავალებით პროფ. გ. ნათაძემ ახლახან დაასრულა ჩაქვის ჩაის ქარხანაში მწვანე დაწნეხილი ჩაის ვიტამინიზაციის ცდები და სათანადო შედეგებით გამოვიდა საქართველოს სსრ ჯანსახკომის კვების ლაბორატორიასთან მოწვეულ სპეციალურ თათბირზე. ცდების შედეგები გარკვეულ სურათს იძლევიან.

ჩაის ვიტამინიზაცია ჩატარდა ვიტამინ C-ს მეტად მდიდარი პროდუქტით—ასკორბინის პრეპარატით, რომლის აქტივობა მრავალჯერ აღემატება ყველა დღემდე ცნობილი პროდუქტების (ხილეულ-ბოსტნეულის) აქტივობას. მწვანე დაწნეხილი ჩაის ვიტამინებით გამდიდრების შედეგად აღმოჩნდა, რომ მისი 2 გრამი საკმარისია ადამიანის თავის დასაცავად სურავანდისაგან. ასეთი ჩაის ფერი და გემო შედარებით უკეთესია, ვიდრე არავიტამინიზებული ჩაისა. თუ მხედველობაში მივიღებთ ჩაის დიდ მოთხოვნილებას, უნდა აღინიშნოს, რომ ცდების შედეგები იძლევა ნედლეული ბაზის მნიშვნელოვნად გაფართოებას; წინასწარი ვარაუდით ის იზრდება სულ მცირე ნახევარი მილიონი კილოგრამით წლიურად.

დაწნეხილი ჩაის მოხმარება ფართოდაა გავრცელებული საბჭოთა კავშირის ჩრდილოეთ რაიონში და აგრეთვე შუა აზიის მთელ რიგ ადგილებში, სადაც ასეთი ჩაი პირველ მოთხოვნილების საგანს შეადგენს. უკანასკნელის ვიტამინიზაცია პრაქტიკულად ნიშნავს მილიონიანი მოსახლეობისათვის ვიტამინებით გამდიდრებული პროდუქტის ყოველდღიურად მიწოდების შესაძლებლობას და არსებითად წარმოადგენს მნიშვნელოვან ფაქტორს მოსახლეობის გაჯანსაღების საკითხში.

საქართველოში ვიტამინების დანერგვა კვების მრეწველობაში ჯერ კიდევ სუსტად მიმდინარეობს. მიუხედავად იმისა, რომ ჩვენი ქვეყანა მდიდარია ვიტამინ C-ს ბუნებრივი შემცველებით (ბოსტნეული, ხილეული), მოსახლეობისათვის ვიტამინების ფართოდ მიწოდების საკითხი კვების მრეწველობის საშუალებით უფრო ფართოდ უნდა გადაიჭრას პრაქტიკულად.

ამ მხრივ დიდი სახალხო - სამეურნეო მნიშვნელობა ექნება პირველ რიგში შავი ჩაის და საკონსერვო მრეწველობის პროდუქტების ვიტამინიზაციის საკითხის გადაჭრას. ამიტომ საჭიროა საქართველოს სსრ ჯანსახკომის და კვების მრეწველობის კომისარიატებმა მეტი შეუპოვრობა და ოპერატიულობა გამოიჩინონ აღნიშნული საკითხების მოგვარებაში.

ჯ. ანთ. ასათიანი

ჭალადიდის საძოვრებზე პირუტყვს არ უვლიან

(„კომუნისტის“ კორესპონდენტისაგან)

წულუკიძის და გეგეჭკორის რაიონების რამდენიმე კოლმეურნეობის პირუტყვი საზამთრო საძოვრებზე ჭალადიდში იმყოფება. მაგრამ იქ პირუტყვის მოვლაში ადგილი აქვს დანაშაულებრივ დაუდევრობას. მაგალითად, წულუკიძის რაიონის სოფელ გორდის პირველი მაისის სახელობის კოლმეურნეობის ფერმაში მწყემსები ს. ბობოხიძე და ბ. კინწურაშვილი პირუტყვის სადგომს არ ასუფთავებენ და იქ ტალახი დგას.

მწყემსები პირუტყვს არ აძლევენ ყონცენტრირებულ საკვებს, მიუხედავად იმისა, რომ იგი ადგილზე ბლომად მოეპოვებათ. ჩალა უყურადღებობით დალპა და გაფუჭდა. ამის გამო ფერმაში ორი სული მოზარდი პირუტყვი მოკვდა, დანარჩენი 74 სული პირუტყვიდან 20 სული დასუსტებულია. კოლმეურნეობის თავმჯდომარემ ს. ჩიხლაძემ იცის ამ მდგომარეობის შესახებ, მაგრამ არ იღებს ზომებს ნაკლოვანებათა გამოსასწორებლად.

სოფელ ახალდედისუღლის ძნელაშის სახელობის კოლმეურნეობის ფერმას მოუვლელობით 5 დღის განმავლობაში 2 დეკეული და 1 მოზვერი მოუკვდა. სოფ. წითელი ვარსკვლავის კაგანოვიჩის სახელობის კოლმეურნეობის ფერმაში მწყემსები პ. ჩიხლაძის და ფ. ჩხეიძის დაუდევრობით მეწველი ძროხა არხში გადაიჩეხა და დაიღუპა.

გეგეჭკორის რაიონის სოფელ ზალდის კოლმეურნეობის ფერმაში პირუტყვისათვის არ მოეპოვებათ საკვები ბალახი. ფერმის გამგე ბ. ბერიძე ამ საკვებს ტყეში ეძებს. ფერმის დანარჩენი 100 სული პირუტყვი დღედაღამ გარეთ არის მიტოვებული. ამის შედეგად ამ ფერმაში მოკვდა 6 სული პირუტყვი. ფერმის გამგეს ე. წულაიას ეს ამბავი სრულიად არ ადარდებს. კოლმეურნეობის თავმჯდომარე ბ. წულაია არ იწუხებს თავს პირუტყვის წესიერი გამოზამთრებისათვის.

საზამთრო საძოვრები მოკლებულია ყოველგვარ ზოოვეტერინარულ მომსახურებას. საძოვრებზე, სადაც კოლმეურნეობათა 3.000-მდე სული პირუტყვია, ვეტექიმი, ვეტფერშალი და ზოოტექნიკოსი ერთხელაც არ ყოფილან. ეს მდგომარეობა ყოველად შეუწყნარებელია, მით უმეტეს ახლა, როცა ფერმებში დაიწყო ხბოების მასობრივი მოგება.

მწყემსები დღემდე უზრუნველყოფილი არ არიან თბილი ტანსაცმლით. წულუკიძის რაიკოოპკავშირის გამგეობის თავმჯდომარე ე. ჯოხიძე მხოლოდ დაპირებით ისტუმრებს მწყემსებს. იგივე ითქმის გეგეჭკორის რაიკოოპკავშირზედაც.

საქმიწსახკომის მეცხოველეობის სამმართველომ, წულუკიძის და გეგეჭკორის რაისაბჭოების აღმასრულებელმა კომიტეტებმა, რაიმიწგანებმა სასწრაფო ზომები უნდა მიიღონ ჭალადიდის საზამთრო საძოვრებზე არსებულ უმსგავსოებათა აღსაკვეთად.

ტ. ჩიქოვანი

ხალხთა სჯაილინური მეგობრობის დროშით ახალ გამარჯვებებს მივაღწევთ!

საქართველოს სს რესპუბლიკის ტყიბულქვანახშირის ტრესტის კოლექტივის მიმართვა დონბასის „ორჯონიკიძეუგოლის“ ტრესტის მაღაროელებისადმი

ძვირფასო ამხანაგებო!

1939 წელი უდიდესი გმირული საქმეებით ბრწყინავს ჩვენი საყვარელი და მძლავრი სამშობლოს ბედნიერ ხალხთა ისტორიაში. 1939 წელს კიდევ უფრო მეტად განმტკიცდა და გაფართოვდა ორი მომძლე რესპუბლიკის — მზიური საქართველოსა და აყვავებული უკრაინის მშრომელთა ძმობა და მეგობრობა.

ერთი წლის წინათ, ხალხთა სტალინური მეგობრობის დროშით, დონბასისა და საქართველოს მაღაროელები უდიდესი აღფრთოვანებით ჩაებნენ სოციალისტურ შეჯიბრებაში მეტი ქვანახშირისათვის საბრძოლველად.

მზიურ საქართველოს მაღაროელთა სოციალისტური შეჯიბრება დონბასის მაღაროელებთან ქვანახშირის ფრონტზე ახალ საწარმოო გამარჯვებათა პირობად გადაიქცა. საქართველოს მაღაროელებმა წარმატებით გაანაღდეს 1939 წლის საწარმოო დავალებანი, ხოლო ახლა ისინი ღირსეულად ასრულებენ დიდი სტალინის დავალებას—საქართველოსა და მთელი ამიერკავკასიის მოთხოვნილების საკუთარი ქვანახშირით დაკმაყოფილების შესახებ.

საქართველოს მაღაროელები, ბოლშევიკური პარტიის, საბჭოთა მთავრობისა და მაღაროელთა საუკეთესო მეგობრის საყვარელი **სტალინის** უდიდესი ყურადღებით აღფრთოვანებულნი, ახალ გამარჯვებებს მიაღწევენ 1940 წელს.

ტყიბულქვანახშირის I ტრესტის კოლექტივმა, რომელიც სოციალისტურ შეჯიბრებაშია ჩაბმული თქვენთან, ქვანახშირის ამოღების 1939 წლის დავალება წარმატებით შეასრულა. 1939 წელს სოციალისტურმა ტყიბულმა ამოიღო იმდენი ქვანახშირი, რამდენსაც რევოლუციამდე 15 წლის განმავლობაში იღებდნენ.

როგორ მივაღწიეთ ჩვენ ამ გამარჯვებას?

ამას მივაღწიეთ სტახანოვური მოძრაობის შემდგომი გაფართოებითა და განმტკიცებით. საქართველოს მაღაროელებს მდიდარი საწარმოო გამოცდილების გაზიარებითა და დაუვიწყარი სტუმრობით დიდი დახმარება აღმოგვიჩინა სახელოვანი სტახანოვური მოძრაობის ინიციატორმა ამხ. ალექსი სტახანოვმა, რათა წარმატებით შეგვესრულებინა ჩვენი ვალდებულებანი პარტიისა და სამშობლოს წინაშე.

სოციალისტური შეჯიბრების მძლავრმა აღმავლობამ მოგვცა შრომის ნაყოფიერების შემდგომი ზრდა. 1938 წელს შრომის ნაყოფიერება ერთ მუშაზე უდრიდა 22,4 ტონას, 1939 წელს კი მან ერთ მუშაზე, ვეგმით გათვალისწინებული 22,8 ტონის ნაცვლად 27,9 ტონას მიაღწია.

გაიზარდნენ და გამრავლდნენ სოციალისტური შრომის გმირ-სტახანოველთა რიგები. ტყიბულის მაღაროებში ამჟამად 530 სტახანოველი და 264 დამკვრელი მუშაობს, მოწინავეთა შორის მოწინავენი დარჯილდოებულნი არიან სსრ კავშირის ორდენებითა და მედლებით.

ტყიბულქვანახშირის ტრესტის ამ წარმატებებში დიდი წილი უდევს ლენინის სახელობის მაღაროს სახელოვან კოლექტივს, რომელმაც ვადაზე 14 დღით ადრე შეასრულა 1939 წლის საწარმოო დავალება და ამით დახმარება გაუწია ჩვენს ტრესტს სახელმწიფო დავალების პირნათლად შესრულებაში.

ასეთია სოციალისტური შეჯიბრების პირველი შესანიშნავი შედეგები.

ამხანაგებო! 1940 წელს მაღაროელთა წინაშე კიდევ უფრო დიდი და პასუხსაგები ამოცანებია დასმული გადასაწყვეტად. მოსკოვის საიარაღო ქარხნის მუშათა მოწოდებას — 4 წელიწადში შეასრულოთ მესამე სტალინური ხუთწლედის გეგმა შრომის ნაყოფიერების დარგში — ჩვენ, მაღაროელებმა, უნდა ვუპასუხოთ კიდევ უფრო თავდადებული, ენერგიული, სტახანოვური მუშაობით, რაც შეიძლება მეტი ქვანახშირის ამოღებით, ჩვენი ქვეყნის თავდაცვის შემდგომი გაძლიერებისათვის, ჩვენი სამშობლოს შემდგომი ძლავრი აყვავებისათვის.

უკრაინისა და საქართველოს მომავალი რესპუბლიკების მაღაროელთა სოციალისტური შეჯიბრების ახალი ძალით გაჩაღება ჩვენ, მაღაროელებს, დაგვეხმარება პარტიისა და მთავრობის, ხალხთა საყვარელი ბელადის დიდი **სტალინის** მიერ მაღაროელთა წინაშე დასმული ამოცანის ბოლშევიკურად გადაწყვეტაში. ამ შესანიშნავმა შეჯიბრებამ დიდი ნაყოფი მოგვცა გასულ წელს. ეშვი არ არის, რომ იგი 1940 წელსაც კიდევ უფრო დიდ ნაყოფს მოგვცემს.

ჩვენი წინადადებაა: განვაგრძოთ მომავალ რესპუბლიკების მაღაროელთა სოციალისტური შეჯიბრება 1940 წელს მუშაობის გამოცდილების ურთიერთგაზიარების მიზნით, ჩვენ დონბასში—სტახანოვური მოძრაობის სამშობლოში—გვსურს მოწვიოთ მაღაროელთა დელეგაციას და ვიკალბათ თქვენთან ერთად განიხილოს, თუ როგორ გავაჩაღოთ და გავაფართოვოთ 1940 წელს ორი აყვავებული რესპუბლიკის მაღაროელთა სოციალისტური შეჯიბრება.

დიდი სტალინის სამშობლოს — მზიური საქართველოს მაღაროელები კიდევ უფრო მეტ ქვანახშირის მიცემთ სოციალისტურ ქვეყანას 1940 წელს. ჩვენ ვკისრულობთ ვალდებულებას, რომ ქვანახშირის 1940 წლის დავალებას შევასრულებთ ვადაზე ადრე—3 დეკემბერს — სტალინური კონსტიტუციის დღისათვის.

ჩვენ ვკისრულობთ ვალდებულებას გავზარდოთ შრომის ნაყოფიერება 25 პროც. 1939 წელთან შედარებით.

დეე, კიდევ უფრო განმტკიცდეს და გაფართოვდეს დონბასისა და საქართველოს მაღაროელთა სოციალისტური შეჯიბრება დონბასელ მაღაროელებთან 1940 წელსაც. ჩვენ ვკისრულობთ შემდეგ ვალდებულებებს:

1. ვადაზე ადრე — 5 დეკემბერს —სტალინური კონსტიტუციის დღისათვის შევასრულებთ 1940 წლის საწარმოო დავალებას;

2. შრომის ნაყოფიერებას გავზრდით 25 პროცენტით, 1939 წელთან შედარებით;

3. შევამცირებთ ქვანახშირის ნაკრიანობას 5 პროცენტით;

4. გადავაჭრელთ ჩვენი მაღაროს უმეტეს უბნებს სტახანოვურ უბნებად.

ჩვენ მივიღებთ ყოველგვარ ზომებს, რათა თავდადებული მუშაობით ნაკისრი ვალდებულებანი წარმატებით შევასრულოთ.

გაუმარჯოს დონბასისა და საქართველოს მომძლე მაღაროელთა სოციალისტურ შეჯიბრებას!

გაუმარჯოს დიდ **სტალინს!**

მაღაროული სალამით:

ტყიბულქვანახშირის ტრესტის კოლექტივის დავალებით: ტრესტის მმართველი — **დ. ჩიკვაიძე.**
საქ. კ. პ. (ბ) ტყიბულის რაიკომის მდივანი—**შ. ჭანუყვაძე.**
პროფრაიკომის თავმჯდომარე—**ა. ჩიტიძე.**
ტრესტის მთავარი ინჟინერი—**ი. მაღალაშვილი.**
ლენინის სახელობის მაღაროს გამგე—**გ. გოგბეიძე.**
სტალინის სახელობის მაღაროს გამგე—**ა. კუბლაშვილი.**
უბნის უფროსები: **ჭ. ბეშქენაძე, პ. ჩიხლაძე.**
სტახანოველები: **შ. ფურცხვანიძე, ნ. კრახმალოვი, ს. სიჩვი დ. ხუჭნიძე, ა. დარსაძე.**

გავაფართოვოთ დონბასისა და საქართველოს მაღაროელთა შეჯიბრება

ტყიბულქვანახშირის ტრესტის ლენინის სახელობის მაღაროს კოლექტივის მიმართვა „ორჯონიკიძეუგოლის“ ტრესტის № 4 შახტის „კრასნი ოქტიაბრის“ კოლექტივისადმი

ძვირფასო ამხანაგებო!

ჩვენ, ლენინის სახელობის მაღაროს მუშები, ინჟინერ-ტექნიკოსები და მოსამსახურეები აღფრთოვანებით ვუჭერთ მხარს თქვენს წინადადებას 1940 წელსაც განვაგრძოთ დონბასელ მაღაროელებთან დაწყებული სოციალისტური შეჯიბრება.

დიდი სიხარული გამოიწვია ჩვენს მაღაროში ცნობამ, რომ №4 მახტის „კრასნი ოქტიაბრის“ სახელოვანმა კოლექტივმა გადაჭარბებით შეასრულა 1939 წლის საწარმოო დავალება. ეს გამარჯვება არის შესანიშნავი შედეგი ორი აყვავებული მომძლე რესპუბლიკის მაღაროელთა სოციალისტური შეჯიბრებისა, რომელიც ხალხთა სტალინური მეგობრობის ბრწყინვალე გამოხატულებას წარმოადგენს.

ამ შეჯიბრებამ ჩვენს მაღაროსაც მოუტანა გამარჯვება. ბოლშევიკურად ვიბრძოდით რა სოციალისტური შეჯიბრებით ნაკისრ ვალდებულებათა წარმატებით შესრულებისათვის, ჩვენ ვადაზე 14 დღით ადრე გავანაღდეთ 1939 წლის საწარმოო დავალება.

სოციალისტური შეჯიბრებისა და სტახანოვური მოძრაობის მძლავრი აღმავლობის საფუძველზე მიღწეულია შრომის ნაყოფიერების შემდგომი ზრდა. 1939 წელს ჩვენმა მაღაროს შრომის ნაყოფიერების გეგმა 127,5 პროცენტით შეასრულა. შრომის ნაყოფიერების გადიდებისა და თვითღირებულების შემცირების შედეგად სოციალისტურ სამშობლოს 1 მილიონ 300 ათას მანეთზე მეტი დაგროვება მივეცით. ლენინის სახელობის მაღაროში ამაყად ფრიალებს ჩვენი ტრესტის გარდამავალი წითელი დროშა, რომელიც მესამე სტალინური ხუთწლედის სახელობის სოციალისტურ შეჯიბრებაში გამარჯვების შედეგად მოვიპოვეთ.

მეტი ქვანახშირისათვის ბრძოლაში ალიზარდნენ ასობით მოწინავე მაღაროელები, გამრავლდნენ სტახანოველთა და დამკვრელთა რიგები: ჩვენს მაღაროში ამჟამად 387 სტახანოველია, შახტის დანარჩენი მუშები—დამკვრელებია. ის უბანი, რომელსაც ინჟინერი ქეთო მალიკაშვილი ხელმძღვანელობს—ყველაზე მოწინავეა. აღნიშნულმა უბანმა 1939 წლის საწარმოო დავალება 118,3 პროცენტით შეასრულა. ათობით მოწინავე სტახანოველებმა: ამხ. მორონ გვენეტაძემ, დავით ფერაძემ, ნესტორ ჯაიანმა, ალექსანდრე ბაბუხადიამ და სხვებმა წლიური საწარმოო დავალებანი ორმაგად და უფრო მეტად შეასრულეს.

ამ წარმატებებს ჩვენ მივაღწიეთ სტახანოვური მოძრაობის შემდგომი განმტკიცებისა და მექანიზაციის ფართოდ დანერგვის საფუძველზე. 1938 წელს ჩვენ მაღაროში გვქონდა 1 „პიტკარლოდერი“, 1939 წელს კი —7 „პიტკარლოდერი“, 1938 წელს მაღაროში მუშაობდა 30 ელექტრობურღი, 1939 წელს კი—55 ელექტრობურღი. 1938 წელს ქვანახშირის დატვირთვა სწარმოებდა ხელით; 1939 წელს კი ამ საქმეში გამოყენებული იყო 3 კონვეიერი, რის შედეგადაც 300 პროცენტით გაიზარდა შრომის ნაყოფიერება ქვანახშირის ტვირთვის დარგში.

მაღაროელები აღფრთოვანებით ეუფლებიან ახალ ტექნიკას. 1938 წელს „პიტკარლოდერის“ საწარმოო სიმძლავრე ცვლაში 40 ტონას უდრიდა, 1939 წელს კი 60-80 ტონას მიაღწია.

მაგრამ ჩვენ არ ვკმაყოფილდებით 1939 წელს მიღწეული წარმატებებით. 1940 წელს კვლავ ახალ გამარჯვებებს მივაღწევთ ჩვენი სოციალისტური სამშობლოს სადიდებლად. ჩვენი კოლექტივი ერთსულოვნად გამოეხმაურა მოსკოვის საიარაღო ქარხნის მუშათა მოწოდებას —4 წელიწადში შევასრულოთ მესამე სტალინური ხუთწლედის გეგმა შრომის ნაყოფიერების დარგში. სტახანოვური მოძრაობის ახალი აზვირთებით შრომის დისციპლინის შემდგომი განმტკიცებითა და ახალი ტექნიკის ბოლშევიკურად ათვისებით ჩვენ წარმატებით გადავწყვეტთ ამ ამოცანას.

განვაგრძობთ რა ტრადიციულ სოციალისტურ შეჯიბრებას დონბასელ მაღაროელებთან 1940 წელსაც, ჩვენ ვკისრულობთ შემდეგ ვალდებულებებს:

1. ვადაზე ადრე — 5 დეკემბერს —სტალინური კონსტიტუციის დღისათვის შევასრულებთ 1940 წლის საწარმოო დავალებას;

2. შრომის ნაყოფიერებას გავზრდით 25 პროცენტით, 1939 წელთან შედარებით;

3. შევამცირებთ ქვანახშირის ნაკრიანობას 5 პროცენტით;

4. გადავაჭრელთ ჩვენი მაღაროს უმეტეს უბნებს სტახანოვურ უბნებად.

ჩვენ მივიღებთ ყოველგვარ ზომებს, რათა თავდადებული მუშაობით ნაკისრი ვალდებულებანი წარმატებით შევასრულოთ.

გაუმარჯოს დონბასისა და საქართველოს მომძლე მაღაროელთა სოციალისტურ შეჯიბრებას!

გაუმარჯოს დიდ **სტალინს!**

მაღაროული სალამით:

ტყიბულქვანახშირის ტრესტის ლენინის სახელობის მაღაროს მუშების, ინჟინერ-ტექნიკოსებისა და მოსამსახურეების სახელით:
მაღაროს გამგე — **გ. გოგბეიძე.**
პირველადი პარტორგანიზაციის ბიუროს მდივანი—**ი. გოგბეიძე.**
მთავარი ინჟინერი—**შ. ნაჭყებია.**
უბნის უფროსები: **პ. ჩიხლაძე, ჭ. შალიკაშვილი.**
სტახანოველები: **ალ. ქასრაძე, ს. სიჩევი, ნ. კრახმალოვი, მ. გვენეტაძე, ალ. ბაბუხადია.**

ტყიბული. ლენინის სახელობის მაღარო. **სურათზე** (მარჯვნიდან): მესამე მოსამზადებელი უბნის უფროსი ინე. ქეთო შალიკაშვილი, სტახანოველები — მებიგე ს. პატარიძე, მბურღველი ალ. ქასრაძე და ათისთავი ე. ბუხაიძე.

ფოტო დ. საბელაშვილისა.

პოლიცია თავს დაესხა ქართველ დაწესებულებებს პარიზში

ე.-წ. 5 თებერვალს, დილის 9 საათსა და 30 წუთზე, სსრ კავშირის პარიზის სავაჭრო წარმომადგენლობის შენობაში შეიჭრა სამოქალაქო ტანსაცმელით გამოწყობილი 100-მდე კაცი. სავაჭრო წარმომადგენლობის მორიგე თანამშრომელს განუცხადეს: ყველანი იმისათვის მოვედით, რომ ჩხრეკა მოვახდინოთ პოლიციის პრეფექტის სპეციალური განკარგულებით. პოლიციის აგენტებმა ყველა ტელეფონის აპარატი გამორთეს და სავაჭრო წარმომადგენლის მოვალეობის აღმსრულებლის ამხ. ევსტრატოვის სამუშაო კაბინეტსა და ბინაში შეიჭრნენ, სადაც პროტესტების მიუხედავად, ჩხრეკას შეუდგნენ. სავაჭრო წარმომადგენლობის გაჩხრეკასთან ერთად პოლიციელებს დოკუმენტები მიჰქონდათ, სტენოგრაფისტ ქალებს და სეიფებს. სავაჭრო წარმომადგენლობის თანამშრომლები, რომლებიც სამსახურში გამოცხადნენ, პოლიციამ დააპატიმრა და თავიანთ ბინებში წაიყვანა-წამოიყვანა და იქაც ჩხრეკა მოახდინა. ამავე დროს ასეთივე ჩხრეკა მოახდინეს ინტურისტისა და პარიზის ყოფილ საბჭოთა სკოლის შენობებში. ამის შემდეგ დაპატიმრებული თანამშრომლები გაათავისუფლეს.

სსრ კავშირის სრულუფლებიანმა წარმომადგენელმა პარიზში ამხ. სურიცმა, შეიტყო თუ არა, რომ ეს ჩხრეკა სწარმოებდა, სავაჭრო წარმომადგენლობაში 2 თანამშრომელი გაჰგზავნა და მოითხოვა დაუყოვნებლივ გაეთავისუფლებინათ შენობა და დაებრუნებინათ წაღებული დოკუმენტები.

მას შემდეგ, რაც პოლიციამ უარი განაცხადა დაემაყოფილებინა ეს მოთხოვნა, ამხ. სურიცმა იმავე დღის 17 საათზე პროტესტი განუცხადა საფრანგეთის მთავრობას პოლიციელთა მოქმედების წინააღმდეგ და გადაჭრით მოითხოვა შეეწყვიტათ ჩხრეკა და დაებრუნებინათ უველა წაღებული დოკუმენტი. სავაჭრო წარმომადგენლობისათვის.

(საკდესი).

ამერიკული პრესა თეთრფინეთის მდგომარეობის შესახებ

ნიუ-იორკი, 7 თებერვალი (საკდესი). რეაქციული ამერიკული გაზეთები ამ ბოლო დრომდე ხშირად აქვეყნებდნენ ეგრედწოდებულ კორესპონდენციებს „ფრონტიდან“, რომლებშიც ფანტასტიკური მოჩვენილი ამბები მოჰყავდათ თეთრფინელების „გამარჯვებათა“ შესახებ. ამერიკის საზოგადოებრიობა ამგვარ ცნობებს დიდი უნდობლობით ხვდებოდა. ბევრი ჭალაქის მოსახლეობა აშკარად გამოსთქვამდა უკმაყოფილებას ამ ცრუ ინფორმაციის გამო და პროტესტს აცხადებდა რეაქციული პრესის ანტისაბჭოთა კამპანიის წინააღმდეგ. ახლა ზოგიერთი რეაქციული გაზეთიც კი იძულებულია აღიაროს, რომ მათ მიერ წინათ დაბეჭდილი ცნობები ფინეთში წარმოებული საომარი მოქმედების შესახებ ემყარებოდა არა კორესპონდენტთა პირად დაკვირვებას, არამედ თეთრფინელთა ცნობებს. თვითონ კორესპონდენტები აღიარებენ, რომ ისინი არა ყოფილან იმ ბრძოლების მოწმენი, რომელთა შედეგებს პრესაში თეთრფინელთა „გამარჯვებად“ ასაღებდნენ. გაზეთ „ნიუ-იორკ ჰერალდ ტრიბიუნის“ კორესპონდენტი ჟერი, რომელიც ამჟამად ცენტრალური ფინეთის ჩრდილოეთ ნაწილში იმყოფება, აცხადებს, რომ თეთრფინელთა სარდლობას უკანასკნელი კორესპონდენტებისთვის ორი თვის განმავლობაში არ მოუწოდებიათ ცნობები საბჭოთა ჯარის მიერ პეტსამოს დაკავების შესახებ.

ამერიკული პრესა სულ უფროდაუფრო ხშირად აცხადებს, რომ თეთრფინელები პირდაპირ სულს ჰღაფავენ. „ბალტიმორსუნი“ ხაზგასმით აღნიშნავს, რომ „ფინელების დამარცხება გარდუვალია“. გაზეთ „ვაშინგტონ სტარის“ კორესპონდენტი სწერს, რომ „ფინელთა რესურსები მთლად გამოილია“, და რომ ისინი „დაღუპვის პირას იმყოფებიან“.

„ჩიკაგო დეილი ნიუსის“ კორესპონდენტმა სტოუმ, რომელიც ჰელსინკიდან სტოკჰოლმს ჩავიდა, დადასტურა, რომ ფინეთში „დიდძალი ხალხია დაპატიმრებული საბჭოთა კავშირისადმი თანაგრძნობაში ეჭვის მიტანის გამო“.

ინდოეთში უკმაყოფილონი არიან ინგლისის გემების გამო

ლონდონი, 7 თებერვალი (საკდესი). შარშან ოქტომბერში ლონდონტგოუმ — (ინგლისის მეფის მოადგილემ ინდოეთში) — წინადადება წამოაყენა, რომ გენერალ-გუბერნატორთან შექმნილიყო სათათბირო ჯგუფი პარტიების წარმომადგენელთა და ადგილობრივი მთავრების შემადგენლობით; სათათბირო ჯგუფს ომის დამთავრების შემდეგ უნდა განეხილა საკითხი ინდოეთის მომავალი კონსტიტუციური წყობის შესახებ; როგორც ვიცით, ამ წინადადებამ ინდოეთში უდიდესი უკმაყოფილება გამოიწვია. მთელმა რიგმა თვალსაჩინო მოღვაწეებმა, მათ შორის ინდოეთის ნაციონალური კონგრესის ყოფილმა თავმჯდომარემ ნერუმ, კონგრესის თავმჯდომარემ პრასადმა და სხვებმა განაცხადეს: ლინლითგოუს წინადადება არასგზით არ შეესაბამება ინდოეთის საზოგადოებრიობის მისწრაფებებს; რადგან ინგლისი ჯერ კიდევ წარსული ომის წინ დაჰპირდა ინდოეთს, რომ დომინიონის უფლებას მიანიჭებდაო.

მთელ ინდოეთში მიტინგები და კრებები გაიმართა, რომელთა მონაწილენიც მოითხოვდნენ ინდოეთში პასუხისმგებელი, დემოკრატიული მთავრობის შექმნას. ამ მიტინგებზე მიღებული რეზოლუციები აღნიშნავენ, რომ ინგლისის ხელისუფალნი ცდილობენ ომში ჩაითრიონ ინდოელი ხალხი. იმ უკმაყოფილების გამო, რომელიც მთელ ქვეყანას მოედო, ინგლისის ხელისუფლება იძულებული გახდა ახალი ლონისძიებანი ეხმარა შექმნილი კრიზისის გადასაწყვეტად.

როგორც რეიტერის სააგენტო იუწყება, 5 თებერვალს ლინლითგოუს ორსაათნახევრის უსაუბრია განდისთან. თუმცა ამ საუბრის შინაარსი დაწვრილებით არ გამოქვეყნებულა, მაგრამ მაინც ფიქრობენ, რომ კრიზისის დაძლევა ვერ მოხერხდა. ლინლითგოუსა და განდის საუბრის შემდეგ ქალაქ დელიში გამოქვეყნებულ იქნა ოფიციალური კომუნიკე, სადაც ნათქვამია: ინგლისის მთავრობა „ინდოეთის შესახებ საკითხთა მთელ კომპლექსს მაშინ განიხილავს, როცა ამის დრო დადგებაო“.

როგორც ინგლისის პრესა იუწყება, თვით განდიც კი, რომელიც მუდამ განირჩეოდა ინგლისელებისადმი დიდი დათმობის მიდრეკილებით, იძულებული გახდა ლინლითგოუსათვის განეცხადებინა: „ეს წინადადებანი არ შეესაბამებიან სავსებით ნაციონალური კონგრესის მოთხოვნებსო“.

პრესა იუწყება, რომ ამჟამად მოლაპარაკება სწარმოებს ლინლითგოუსა და ინდოეთის მუსლიმანური ლიგის თავმჯდომარე ჯინს შორის. „ნიუს ქრონიკლის“ კალკუტელი კორესპონდენტი შემდეგ მოსაზრებას გამოსთქვამს: ლინლითგოუს განზრახული აქვს ომის დამთავრების შემდეგ წამოაყენოს წინადადება იმის შესახებ, რომ ინდოეთისათვის, შემოღებულ იქნას დომინიონის სტატუტი. რომლის თანახმადაც ინგლისი ინდოეთის დაცვის პასუხისმგებელი იქნება 30 წლის განმავლობაში ომის შემდეგ. ამ დაპირების სანაცვლოდ ინგლისს განზრახული აქვს მიაღწიოს იმას, რომ დაუყოვნებლივ დაუბრუნდეს თავის მოვალეობის აღსრულებას პროვინციათა მთავრობები, რომლებიც ომის წლებში გადადგნენ, და ითანამშრომლოს ინგლისთან ომში.

ინდოეთის ნაციონალური კონგრესის წრეებში აღნიშნავენ: „ინდოელი ხალხი, რომელიც ერთხელ უკვე მოატყუეს ცრუ დაპირებით, ინგლისის ახალ მანევრებს აღარ დაუჯერებსო“.

ომის საწინააღმდეგო მოძრაობა ინდოეთში

კაბული, 7 თებერვალი (საკდესი). ინდოეთის გაზეთის „ტრიბიუნის“ ცნობით, პოლიცია გაფაციცებით დაეძებს ომის საწინააღმდეგო ლიტერატურას კალკუტაში. მოხდა ასამდე თავდასხმა საზოგადოებრივ, მუშათა, გლეხთა, სტუდენტთა და სხვა ორგანიზაციებზე.

პოლიციამ დააპატიმრა ბენგალიის გლეხთა კავშირის თავმჯდომარე, სტუდენტთა ფედერაციის თავმჯდომარე, სტუდენტთა სრულიად-ინდოეთის ფედერაციის აღმასრულებელი კომიტეტის წევრი და მრავალი სხვა. ჩხრეკის დროს ნაპოვნი ომის საწინააღმდეგო ლიტერატურა ჩამორთმეულია.

ლონდონი, 7 თებერვალი (საკდესი). „დეილი უორკერის“ (ცნობით, ინდოეთში გაიფიცა ჯუტის მრეწველობის 30 ათასი მუშა. ისინი მოითხოვენ ხელფასის მომატებას. გაფიცულთა უმრავლესობას კალკუტელები შეადგენენ. გაფიცების შედეგად ჯუტის საწარმოთა მფლობელნი იძულებული გახდნენ 10 პროცენტით გაეღიდებინათ ხელფასი.

უნდა აღინიშნოს, რომ ამას წინათ ჯუტის მრეწველობის მუშებს ხელფასი 8 პროცენტით შეუმცირეს.

განდის განცხადება

ლონდონი, 7 თებერვალი (საკდესი). ლინლითგოუსთან (ინგლისის მეფის მოადგილე ინდოეთში) საუბრის შემდეგ განდიმ შემდეგი განაცხადა:

„თუ ინგლისი არა სცნობს, რომ ინდოელ ხალხს უფლება აქვს თვითონ განსაზღვროს თავისი სახელმწიფოებრივი წყობილება, ინდოეთსა და ინგლისს შორის ურთიერთობის მოწესრიგების ვერავითარ პერსპექტივას ვერა ვხედავ. საუბარმა ცხადჰყო, რომ ინგლისის მთავრობასა და ინდოეთის ნაციონალურ კონგრესს შორის უდიდესი უთანხმოება არსებობს“.

შეეხო რა ინდოეთის თავდაცვას, განდიმ განაცხადა, რომ ეს პრობლემა, უწინარეს ყოვლისა, თვით თავისუფალი ინდოეთის ზრუნვის საგანს წარმოადგენს. შემდეგ განდიმ ხაზგასმით აღნიშნა, რომ ლინლითგოუსთან საუბრის შემდეგ კონგრესის მოთხოვნები არ შეცვლილა. გადამდგარი პროვინციული მთავრობები, რომლებიც კონგრესის

ჩვენი ღვაწლი სოფელი

მახარაძის რაიონის სოფლის მეურნეობის მოწინავე ადამიანები (მარცხნიდან): პირველ რიგში—ვ. ჯაბუა (ნატანების კოლმეურნეობის თავმჯდ.), ლ. მარუაშვილი (ანასეულის ჩაის სამეცნიერო-კვლევითი საკავშირო ინსტიტუტის დირექტორი), ე. გოგბრონიძე (ლაითურის საბჭოთა მეურნეობის დირექტორი), ბ. ახულაძე (შრომის კოლმ.), მ. ორაგველიძე (შრომის კოლმეურნეობის თავმჯდ.), ვ. ხომერიკი (შრომის კოლმეურნეობის პარტბიუროს მდივანი), დ. ნაკაიძე (ნატანების კოლმეურნეობის მწყობელი); მეორე რიგში მ. ბოლქვაძე (ნატანების კოლმეურნეობის ბრიგადირი), ე. მგალობლიშვილი (შრომის კოლმეურნეობა), ვ. ქავჭანტრაძე (შრომის

ჩვენი დღე და სოფელი

(დასასრული)

ლი, ციტრუსები 172 ჰექტარზე, ხოლო ტუნგო 103 ჰექტარ მიწაზე.

სოფელ შრომაში ისტორიას ბარდებიან ძველი ისლით დახურული და წნელით ნალობი ქოხმახები. მათ ადგილს მშვენიერი ოდები იკერენ, რომელთა რიცხვიც ამჟამად 500-მდე აღწევს.

სოფელ შრომაში ამჟამად ერთი არასრული საშუალო სკოლაა და 3 ოთხწლედი, რომლებშიც 600-მდე მოწაფე სწავლობს, ხოლო სხვადასხვა უმაღლეს სასწავლებლებში 100-მდე სტუდენტია წასული უმაღლესი განათლების მისაღებად.

ეს კოლმეურნეობა ჩაბმული იყო მოძმე რესპუბლიკის უკრაინის გენიჩესკის რაიონის ამხანაგ **სტალინის** სახელობის კოლმეურნეობასთან სოციალისტურ შეჯიბრებაში და მასთან დადებულ ხელშეკრულებაში გათვალისწინებული. ყველა გეგმები დიდი გადაჭარბებით აქვს შესრულებული, რის გამო 1939 წლის საკავშირო სასოფლო-სამეურნეო გამოფენაზე იგი დაჯილდოებული იქნა პირველი ხარისხის დიპლომით, 10.000 მან. და მ-1-ის მარკის მსუბუქი ავტომანქანით.

ყოველმა კოლმეურნემ 1939 წლის ბოლოს შრომადღეზე გამოიმუშავა 12 მანეთი და 2 კილო სომინდი ნატურით, ხოლო კოლმეურნეობამ სახელმწიფოს ჩააბარა 530 ტონა ჩაის მწვანე ფოთოლი, 312 ტონა ციტრუსი და 55 ტონა ტუნგო.

კოლმეურნეობაში გამოყოფილია ციკლე ციტრუსების ბრიგადა, რომელსაც კომუნისტი გრ. კუბუსიძე ხელმძღვანელობს. შრომას ჰყავს აგრეთვე თავისი სტახანოველი მყნობელი მიხ. ჩხაიძე, რომელიც კვალდაკვალ მისდევს ნატანებელი რეკორდსმენი მყნობელის დ. ნაკაიძის წარმატებებს. მან ერთ დღეს, ნაცვლად 400 ძირისა დაამყნო 4200 ძირი და გახარების პროცენტი 98 იყო, ხოლო 200 კილო ტუნგოს ნაყოფის მაგიერ, აკრიფა 1200 კილო.

ხალხთა სტალინური მეგობრობა

„... მეგობრობა სსრ კავშირის ხალხთა შორის —დიდი და სერიოზული მონაპოვარია. ვინაიდან სანამ ეს მეგობრობა არსებობს, ჩვენი ქვეყნის ხალხები თავისუფალი და უძლეველი იქნებიან. არავინ არ არის ჩვენთვის საშიში, არც შინაური და არც გარეშე მტრები, სანამ ეს მეგობრობა ცოცხლობს და დღეგრძელობს". **(სტალინი).**

დიდი **სტალინის** ეს ლოზუნგი დაედო საფუძვლად სოფ. შრომის ამხანაგ ს. ორჯონიკიძის სახელობის კოლმეურნეობის წევრთა წერილს, რომელიც გაზ. „ზარია ვოსტოკაში" იყო მოთავსებული. ეს მეგობრული წერილი შრომის კოლმეურნეებმა მისწერეს უკრაინის სსრ დნეპროპეტროვსკის ოლქის გენიჩესკის რაიონის **სტალინის** სახელობის კოლმეურნეებს მჭიდრო მეგობრობის დამყარებისა და ურთიერთ გამოცდილების გაზიარების მიზნით.

მოკავშირე რესპუბლიკათა უმაღლეს საბჭოების არჩევნებისათვის მზადების დღეებში გაზ. „კომუნისტის" საშუალებით ძმური წერილი მისწერეს ნატანების ამხანაგ **ლავრენტი ბერიას** სახელობის კოლმეურნეობა სოხუმის სსრ ჰოქტემბერიანის რაიონის პატარა შაღრიარის მესამე ინტერნაციონალის სახელობის კოლმეურნეებს.

ხალხთა სტალინური მეგობრობისა და სოლიდარობის ამ ბრწყინვალე დემონსტრაციამ დიდი აღფრთოვანება გამოიწვია არა მხოლოდ საქართველოსა და სომხეთ-უკრაინის მშრომელთა შორის, არამედ მთელ საბჭოთა კავშირში.

ი რას სწერს თავის დღიურში ნატანებელი კომკავშირელი მერვე კლასის მოწაფე თინა ბაქანიძე სომხეთში გამგზავრების გამო:

„— ვნახოთ ჩვენი ბოსელი, ჩვენი საქონელი და ბამბის ველები!—გვითხრა თავმჯდომარემ.

„5 წუთი და კოლმეურნეობის „ოქროს ყანებში" ვართ.

„სამუშაოდან გამოსული კოლმეურნეები ეამას ძახილით გვხვდებიან. ჩვენც ტაშით ვეგებებით.

„— ჩემმა ბრიგადამ ჯერჯერობით ჰექტარიდან 18 ცენტნერი ბამბა ჩაბარა, გეგმა კი 12 ცენტნერი იყო. კიდევ ბევრია ასალები და 26 ცენტნერს მაინც გავასწორებ ჰექტარზე.—სიხარულით თვალგაბრწყინვებული, გამარჯვებული კაცის პოზით გვეუბნება ამხ. ანდრონიკი.

— თქვენთან შეჯიბრებამ დიდი ენტუზიაზმი გამოიწვია და შედეგიც ესაა, რასაც ხედავთ, — ბარაქიანად გადათეთრებული ბამბის ველები. ჩვენ გვიხარია,—ჩვენც შემოსავალი გვემატება და ჩვენი ქვეყნის ფაბრიკებიც სიხარულით ელიან ამ ბამბას. ხვალ ან ზეგ ჩვენვე დაგვიბრუნდება ეს ჩვენი ბამბა, რა თქმა უნდა, გარდაქმნილი და დაამშვენებს ჩვენს ტანს,—სიცილით დაუმატა კომკავშირელმა ვართან ვართანიანმა".

ნოემბრის შუა რიცხვებში ესტუმრნენ სოფ. შრომის ამხანაგ ორჯონიკიძის სახელობის კოლმეურნეებს უკრაინელი, ხოლო ნატანების ამხანაგ ლავრენტი ბერიას სახელობის კოლმეურნეებს სომეხი სტუმრები.

სადგური ნატანები ბელადთა პორტრეტებით, პლაკატებით, ლოზუნგებითა და ყვავილებით იყო მორთული. აქ იყვნენ არა მხოლოდ ნატანებელი და სოფ. შრომელი კოლმეურნენი, არამედ მეზობელი სოფ. შემოქმედისა და სოფ. მახარაძის კოლმეურნეთა დელეგაციებიც.

უხარიათ ნატანებელ კოლმეურნეებს რომ სომხეთიდან ჩამოსულ სტუმრებს ნაკლები ვალდებულების გადაჭარბებული შესრულებით ხვდებიან.

მიტინგის შემდეგ სტუმრები პლანტაციებისაკენ გაემართნენ. თუ იქ მათ მშობლიურ სომხეთში ბამბით იყო გადათეთრებული მიდამოები, აქ ჩაით არის გადალურჯებული ყვეღაფერი და მათ აღტაცებას საზღვარი არა აქვს.

პლანტაციიდან დაბრუნებისას მოეწყო მეგობრული ვახშამი, სადაც ისინი წარმოსთქვამდნენ, სიტყვებს კი არა, უსაზღვრო მადლობას დიდი ბელადის ამხანაგ **სტალინისადმი,** უზომო ბედნიერი ცხოვრების მინიშებისათვის.

ლაითურის ს. კიროვის სახ. საბჭოთა მეურნეობა

ზოგ ადამიანს ერთი შესანიშნავი თვისება აქვს. როცა უხარია, უნდა ეს სიხარული სხვასაც გაუზიაროს. ასეთი ადამიანია ლაითურის ამხანაგ კიროვის სახ. საბჭოთა მეურნეობის დირექტორი ამხ. ერმილე გობრონიძე. ამ სიხარულით იტაცებს იგი თავის თანამშრომლებს, მუშებსა და თვით იმათაც, რომელნიც „მისი" მეურნეობის სანახავად ჩამოდიან.

ლაითურის მეურნეობის ფართობი სიგრძით 16 კილომეტრს შეიცავს, ხოლო განით 12-ს.

ამ ადგილას ამ ათიოდე წლის წინათ უდაბური ტყეები და გაუვალი ეკალბარდები იყო. თუ ყაჩაღი ამ ტყეში შეასწრებდა, მის დევნას თავს ანებებდნენ. ათიოდე წლის წინათ იყვნენ ურწმუნო თომანი, რომელთაც აქ მეურნეობის წამოწყება ზღაპრად მიაჩნდათ, მაგრამ მათ არ იცოდნენ, რომ ბოლშევიკებისათვის არავითარი ზღაპარი არ არსებობს და არც არავითარი სიძნელეები, რომლის გადალახვაც მათ არ შეეძლოთ.

ერთ ამგვარს სინამდვილედ ქცეულ ზღაპარს წარმოადგენს ლაითურის საბჭოთა მეურნეობა და ამიტომაც არის ეგზომ აღსავსე სიხარულით, არამც თუ მისი დირექტორი, არამედ ყველა მოშუშავენი და ისინიც, ვინც ამ მეურნეობას ეახლებიან.

ეს მეურნეობა ერთ კარგა მოზრდილ ქალაქს წარმოადგენს თავისი დაწესებულებებითა და საცხოვრებელი ბინებით.

უზარმაზარი ორი და სამსართულიანი კორპუსები, კოტეჯები, ელსადგური, ჩაის ქარხანა, კლუბი, სასადილო, კოოპერატივი, სასპორტო სტადიონი, თვითმომქმედი მუშათა დრამწრე, სასულე ორკესტრი, შვიდწლედი, 2 ოთხწლედი, გარაჟი, სახელოსნოები, სასტუმრო, სკვერები და იქით პლანტაციები, თვალუწვდენი პლანტაციები.

აქ ყველაფერი საამურია, ხალისიანი და აკი იმიტომაც არიან აქაური მუშა-მოსამსახურენი ასე თვალგაბრწყინვებულნი და გახარებულნი.

ყველას თავისი ბინა აქვს მოწყობილობით, ყველას თავისი პატარა ნაკეთი, ღორი, ქათამი და ცხოვრობენ დოვლათიანად, კულტურულად.

ეს მეურნეობა სრულიად-საკავშირო სასოფლო-სამეურნეო გამოფენაზე დაჯილდოებულია პირველი ხარისხის დიპლომით 10.000 მანეთით და მსუბუქი ავტომანქანით და ეს ჯილდო ღირსეულად არის მოპოვებული და აკი ამიტომაც ასე ამაყად გრძნობენ თავს აქაური სტახანოველები მარიამ გუცელიუკი, პელაგია ტიჩინა, ბარბარე შევჩენკო, იაკიმენკო დუსია, კოსტა მჟავანაძე, გერონტი გოთუა და ეგნატე შევჩენკო, რომელიც წითელარმიაშია გაწვეული დასავლეთისაკენ და მას მანდატი გადაეგზავნა, რათა, თუ შესაძლებელი იქნება, იქიდან გაემგზავროს გამოფენაში მონაწილეობის მისაღებად.

ბუნებაა, რომ ჩვენში იცვან შრომა თავდადებული, გმირული და იციან აგრეთვე მოსვენებაც და დროს ტარებაც აზრიანი და შინაარსიანი.

ღამის თერთმეტი საათია, სკოლაში აქა-იქ სინათლე ისევ სჩანს.

პედაგოგთა ერთი ჯგუფი სასწავლო საკითხებზე თათბირობს, ხოლო სკოლის დირექტორი თავის კაბინეტში ზის და საკ. კ. პ. (ბ) ისტორიის მოკლე კურსს სწავლობს.

ასე ცხოვრობენ, ასე მუშაობენ, ასე ატარებენ დროს ლაითურის კიროვის სახ. საბჭოთა მეურნეობაში.

ასე ბედნიერია ჩვენი დღე, ასე მხიარულია ჩვენი სოფელი.

ამ ბედნიერი დღისა და აყვავებული სოფლის დოვლათისა და მიღწევების საჩვენებლად მიდის მახარაძის რაიონი 1940 წლის სრულიად-საკავშირო სასოფლო-სამეურნეო გამოფენაზე.

ეს მიღწევები მოპოვებულია დიდი **სტალინის** ბრძნული მითითებათა ცხოვრებაში ურყევად გატარებით და ლენინ-სტალინის პარტიის ერთგული შვილის **ლავრენტი ბერიას** ყოველდღიური მზრუნველობისა და ხელმძღვანელობის შედეგად

დემნა შენგელაია

იაპონიის პარლამენტის სესიაზე

ტოკიო, 7 თებერვალი (საკდესი). გაზეთმა „კოკუმინმა" დაბეჭდა იაპონიის პარლამენტის ქვედა პალატის დეპუტატის კიიოსის შეკითხვა. „არსებულ პირობებში,—განაცხადა მან, — მდინარე იანძიზე ნავიგაციის გახსნის საკითხი უნდა გადაიდოს. ნომურამ (ყოფილი საგარეო საქმეთა მინისტრი) გამოაცხადა ნავიგაციის გახსნა მდინარე იანძისა და მარგალიტის მდინარეზე, რათა გაუმჯობესებულიყო იაპონია - ამერიკის ურთიერთობა. ამით მას სურდა მიეღწია ამერიკასთან ხელშეკრულების დადებისათვის. მაგრამ მდინარე იანძიზე ნავიგაციის გახსნის შესახებ მიღებულმა გადაწყვეტილებამ არავითარი გავლენა არ მოახდინა ამერიკის შეერთებულ შტატებზე". შემდეგ კიიოსიმ იკითხა: „მზად არის თუ არა მთავრობა განუცხადოს დაინტერესებულ სახელმწიფოებს ცხრა სახელმწიფოს ხელშეკრულების მოქმედების შეწყვეტის შესახებ?".

იაპონიის საგარეო საქმეთა მინისტრმა არიტამ შემდეგი პასუხი გასცა ამ შეკითხვაზე: „დიაღ, მე ვეთანხმები იმას, რომ ცხრა სახელმწიფოს პაქტის საფუძველზე არ შეიძლება ახალი წესების შექმნა აღმოსავლეთ აზიაში. მაგრამ, რაც შეეხება ცხრა სახელმწიფოს ხელშეკრულების გაუქმებას, აქ საჭიროა უდიდესი სიფრთხილე".

○

ტოკიო, 7 თებერვალი (საკდესი). როგორც დომეი ცუსინის სააგენტო იუწყება, მინსეიტოს პარტიის წევრმა ნაკაძიმამ იაპონიის პარლამენტის საბიუჯეტო კომისიის პლენარულ სხდომაზე შეიტანა შეკითხვა 1911 წლის სავაჭრო ხელშეკრულების ვადის გასვლის შემდეგ იაპონიასა და ამერიკის შეერთებულ შტატებს შორის ვაჭრობის შესახებ, აგრეთვე მეომარ და ნეიტრალურ ქვეყნებთან მომავალი ვაჭრობის შესახებ. მის შეკითხვაზე პასუხი გასცა საგეგმო ბიუროს უფროსმა ტაკაიუციმ, რომელმაც აღნიშნა, რომ სავაჭრო ურთიერთობა იაპონიასა და ამერიკის შეერთებულ შტატებს შორის 1911 წლის ხელშეკრულების ვადის გასვლის შემდეგ საგრძნობლად არ შეცვლილა. საჭიროა, რომლის მიღებაც არ შეიძლება ინგლისიდან, საფრანგეთიდან და გერმანიიდან, შესყიდულ იქნება ნეიტრალურ ქვეყნებში.

იაპონიის პარლამენტის ქვედა პალატის სესიაზე

ტოკიო, 6 თებერვალი (საკდესი). დომეი ცუსინის სააგენტო იუწყება, რომ 5 თებერვალს იაპონიის პარლამენტის ქვედა პალატის სხდომაზე შეკითხვა შეიტანა დეპუტატმა ოგუციმ (წევრი სეიუკაის პარტიის „ორტოდოქსული" ფრაქციისა, რომელსაც მეთაურობს კუხარა). მან განაცხადა:

„ჩვენ გვსურს ვიცოდეთ, რა ზომებს იღებს კაბინეტი ჩინეთის საკითხის გადასაწყვეტად. მთავრობის პოლიტიკას, რომელიც უმთავრესად სამხედრო მრეწველობის განვითარებისაკენ არის მიმართული, მოსდევს სიძვირე და საქონლის, სათბობი მასალისა და სხვათა ნაკლებობა. მსურს გავიგო, როგორია მთავრობის გეგმები ეგრეთწოდებული დაბალი ფასების პოლიტიკისა და რესურსების მობილიზაციის საკითხში, რის შესახებაც ხალხმა არაფერი იცის. მთავრობა, როგორც ვატყობ, ყველაფერს უმალავს ხალხს. რაც გამოსაქვეყნებელია, უნდა გამოქვეყნდეს".

„მთავრობის პოლიტიკა აგრარულ საკითხში,—განაგრძობს ოგუცი, — სავსებით სწორი არ არის. ბრინჯის განაწილებაში არსებულმა უწესოებამ მთავრობის სასურსათო პოლიტიკა შეარყია.

შემდეგ ოგუცი ბრალს სდებდა მთავრობას იმაში, რომ მან საჭირო ზომები არ მიიღო ელექტროენერგიის ნაკლებობასთან დაკავშირებით. ოგუციმ განაცხადა, რომ ახლა საეჭვოა მთავრობამ შესძლოს ელექტროენერგიით ქვეყნის უზრუნველყოფის საკითხის გადაჭრა. დასასრულ, ოგუციმ სთქვა—კაბინეტი ბიუროკრატიული ხასიათისაა, და მოითხოვა, რომ მთავრობამ ხალხთან ითანამშრომლოს.

ოგუცის საპასუხოდ იაპონიის პრემიერმა იონაიმ განაცხადა, რომ ამჟამად მთავრობა სათანადო ზომებს იღებს მრეწველობის მდგომარეობის გასაუმჯობესებლად.

ვაჭრობისა და მრეწველობის მინისტრმა ფუძივარამ ოგუცის განცხადების საპასუხოდ სთქვა: სანამ ახლანდელი კაბინეტის შემადგენლობაში შევიდოდი, იმავე აზრისა ვიყავი, როგორისაც ოგუცი არისო. ფუძივარა შეჰპირდა, რომ იგი განსაკუთრებულ ყურადღებას მიაქცევს „ხალხის ცხოვრების სტაბილიზაციას".

ოგუცი უკმაყოფილო დარჩა მინისტრების პასუხით, ხელმეორედ გამოვიდა და განაცხადა: „ეკონომიკას მხოლოდ მთავრობა უწევს კონტროლს. ამ ცალმხრივმა კონტროლმა კრახი განიცადა. თუ ჩვენი ქვეყანა საყოველთაო კონტროლის სტადიაში არ შევა, მაშინ აღმოსავლეთ აზიაში ახალი წესების დამყარება გადაიდება. წინანდელი კაბინეტები ამ საკითხში სწორ პოლიტიკას არ ატარებდნენ. ახლა მთავრობას დამარცხების საფრთხე მოელის, თუ იგი ამავე გზით განაგრძობს სვლას, და მაშინ ჩინეთთან ომში ჩვენ მიერ დასახული მიზანი, რომელსაც დიდძალი ხალხის სიცოცხლე შეეწირა, მიღწეული არ იქნება".

გუშინ იაპონიის პარლამენტის ქვედა პალატის სხდომაზე გამოვიდა დეპუტატი ტაკატა (მინსეიტოს პარტიის წევრი), რომელმაც აგრეთვე გააკრიტიკა მთავრობის პოლიტიკა მოსახლეობისათვის ბრინჯის მიწოდების საკითხში და ბრინჯის ფასის მომატების პოლიტიკა. ტაკატამ შემდეგ აღნიშნა, რომ შარშანდელი გვალვა ბრინჯის ნაკლებობის მთავარი მიზეზი არ არის. მთავარი მიზეზი, რამაც ბრინჯის ნაკლებობა გამოიწვია, ჩინეთის ამბებია.

„ვფიქრობ, — განაგრძო მან, — ზომები, რომლებსაც იღებს მთავრობა ბრინჯით მოსახლეობის მომარაგების უზრუნველსაყოფად, საკმარისი არ არის. სამწუხაროა, რომ იაპონიამ ბრინჯი საზღვარგარეთიდან უნდა შემოიტანოს".

მიწათმოქმედებისა და მეტყევეობის მინისტრმა სიმალამ ტაკატას საპასუხოდ სთქვა, რომ ახლანდელი ომიანობის დროს საჭიროა ბრინჯის მოხმარების მაქსიმალურად შემცირება. მთავრობა,— ხაზგასმით აღნიშნა მან, — ზომებს იღებს, რათა მანჯურიაში ნაწარმოები სასუქით მოამარაგოს იაპონია.

ინგლის-საფრანგეთის ბლოკის ოინები ღიჯვაში

კაუნასი, 7 თებერვალი (საკდესი). ამ დღეებში ვილნოში აღმოჩენილ იქნა შეთქმულის პოლონელი ოფიცრების მეორე ორგანიზაცია. ეს ორგანიზაცია, რომელსაც ინგლის-საფრანგეთის ბლოკის აგენტები ხელმძღვანელობდნენ, მიზნად ისახავდა ძირი გამოეთხარა ლიტვის სახელმწიფოებრიობისათვის. როგორც იუწყებიან, ლიტვის ხელისუფლებამ დაპატიმრა ამ ორგანიზაციის 80-ზე მეტი მონაწილე.

იუწყებიან, რომ დღემდე სხვადასხვა ქვეყნებიდან არალეგალური გზით ჩამოსულ პოლონელებს ისე აღრიცხავდნენ, როგორც ლიტველებს; ახლა, შეთქმულების აღმოჩენასთან დაკავშირებით, მთავრობამ ახალი განკარგულება გამოსცა; ამ განკარგულების მიხედვით, ყველა პოლონელი, რომელიც არალეგალურად გადავა ლიტვის საზღვარს, უკანვე იქნება დაბრუნებული.



სუფსის საშუალო სკოლის ახალი შენობა

მზადება მუშურ-გლეხური წითელი არმიის და სამხედრო-საზღვაო ფლოტის XXII წლისთავისათვის

ხელოვნების მუშაკთა პროფკავშირის რესპუბლიკურ კომიტეტთან არსებულმა ცენტრალურმა სამხედრო-სამეფო კომისიამ გაიჩალა მუშურ-გლეხური წითელი არმიისა და სამხედრო-საზღვაო ფლოტის XXII წლისთავისათვის მზადება.

თეატრებსა და თბილისის თეატრებსა და ცირკში მთელი რიგი წარმოდგენები გამართება წითელარმიელთათვის, პოლიტმუშაკებისათვის, მეთაურებისა და მათი ოჯახის წევრთათვის. საქართველოს ხელმწიფო ფილარმონია, სახელმწიფო კონსერვატორია და რადიოკომიტეტის ორკესტრი სიმფონიურ კონცერტებს გამართავენ.

მოსაზღვრე რაიონებისათვის მომსახურების გასაწევად გამოყოფილია 12 საკონცერტო-სამხატვრო ბრიგადა.

წითელი არმიის ამირკავკასიის სამხედრო ოლქის სახლსა და შინსახკომის კლუბში შემოქმედებითი პატაკით გამოვლენ სსრ კავშირის სახალხო არტისტი ა. გასპაძე, დრამატურგი შ. დადიანი, რესპუბლიკის დამსახურებული მსახიობები ნ. ჭუმბაძეული, ე. სოხაძე, ვ. ანჯაფარიძე, ნ. ვახტანგი, კომპოზიტორი დ. არაყიშვილი და სხვ.

ამ დღეებში მოწვეულ იქნება წითელარმიელ მხატვართა თათბირი მხატვრებთან, კრიტიკოსებთან და ხელოვნებათმცოდნეებთან ერთად. თათბირი განიხილავს ნამუშევრებს, რომლებიც წარმოდგენილი იყო წითელი არმიის ამირკავკასიის სამხედრო ოლქის სახლში ამხანაგ სტალინის დაბადების 60 წლისთავისათვის გამართულ წითელარმიული სამხატვრო თვითმოქმედების გამოფენაზე.

სამხედრო საშეფო კომისიამ გამოჰყო მხატვართა 10 ბრიგადა, რომელთაც მხატვრული ნაწარმოებები უნდა გაეფორმონ წითელარმიელთა კლუბები და ლენინის კუთხეები.

○

სოხუმი, აფხაზეთის საწარმოებში, საბჭოთა მეურნეობებსა და კოლმეურნეობებში გაჩაღდა მზადება გმირული წითელარმიისა და სახელოვანი სამხედრო-საზღვაო ფლოტის XXII წლისთავისათვის.

აფხაზეთის სახელგამის სტამბის თავდაცვა-ავიაქიმის პირველადმა ორგანიზაციამ (თავმჯდომარე რაიზერი) იკისრა მუშურ-გლეხური წითელი არმიის წლისთავისათვის სარჩევად მოამზადოს სპეციალური ბროშურა